ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შ.პ.ს. საქართველოს უნივერსიტეტს შორის

ქ. თბილისი

29 ოქტომბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილისის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი") წარმოდგენილი რექტორის გიორგი შარვაშიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში - საქართველოს უნივერსიტეტი) წარმოდგენილი რექტორის კონსტანტინე თოფურიას სახით (თითოეული წოდებული როგორც „მხარე", ხოლო ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები"),

გამოთქვამენ რა თანამშრომლობის სურვილს, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, დასავლურ სამყაროსთან და ევროკავშირთან ინტეგრირება ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტია, რაც მიიღწევა დასავლური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების აღზრდით,

გაერთიანებულნი იდეით, რომ ყოველგვარი ინიციატივა ნაყოფიერია, თუ იგი უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობის საუძველზე ხორციელდება და პასუხობს მათ სტრატეგიულ მიზნებს, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

1. უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ კვალიფიციური კადრების ერთმანეთისთვის შეუფერხებლად მიწოდების მიმართულებით, რაც გულისხმობს, ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც დასაქმებულ პირს - აკადემიურ პერსონალს, შეიძლება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა ან/და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდეს შეზღუდვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესში ჩართვაზე (ანაზღაურებადი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დამყარება - სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის მიზნით), და ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სათანადო განხილვის საფუძველზე, ხსენებული შეზღუდვის მოხსნის თაობაზე საჭირო თანხმობა (გადაწყვეტილება) შეიძლება გაიცეს რექტორის მიერ წერილობით.

2. კვალიფიციური კადრების ერთმანეთისთვის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე განხორციელებად მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის (ანაზღაურებადი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დამყარება) მიზნებისათვის მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ დასაქმებულ პირზე - აკადემიურ პერსონალზე არ გავრცელდება მათთვის მხარეების მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა ან/და შრომითი ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვები.

მუხლი 2.

უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი თანამშრომლობენ სტუდენტთა თანამედროვე პროგრამებით მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, რაც გულისხმობს სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა) და აკადმიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი კონფერენციების, პრეზენტაციების, სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებას.

მუხლი 3.

1. უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განხორციელების მიმართულებით, რაც გულისხმობს სამეცნიერო გრანტებზე ერთობლივი განაცხადების წარდგენას, კვლევითი ინფრასტრუქტურის გამოყენებას, კვლევებში ორივე უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტების ჩართვას, სტუდენტებისთვის პროფესიული სტაჟირების ხელშეწყობას.

2. უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები ითანამშრომლებენ ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით.

3. მხარეები შეიმუშავებენ ერთობლივ პროექტებს საგრანტო კონკურსებში წარსადგენად.

4. მხარეები ეცდებიან ერთობლივად დააფინანსონ ან მოიძიონ დაფინანსების წყაროები სამუშაო შეხვედრების, სტუდენტური პროგრამების განხორციელებისა და საერთაშორისო სემინარების ორგანიზებისათვის, რომელთა მიზანი იქნება საქართველოში საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 5.

წინამდებარე მემორანდუმის მხარეების წარმომადგენლები, საჭიროების ან რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, შეიკრიბებიან შერეული კომისიის შემადგენლობით, რათა განიხილონ ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობა და შეიმუშავონ კონკრეტული სამუშაო გეგმები.

მუხლი 6.

1. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ცალკე ხელშეკრულებით.

2. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება, განისაზღვრება დამატებითი წერილობითი შეთანხმებით მხარეთა შორის და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 7.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომელიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 8.

წინამდებარე მემორანდუმში შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

მუხლი 9.

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი (2) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 10.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით.

სსიპ -ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

გიორგი შარვაშიძე

შ.პ.ს საქართველოს უნივერსიტეტის
რექტორი,

კონსტანტინე ბოფფორია